№ 46
შაბათი, 4 მარტი, 1900 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

ივერია

№ 46
შაბათი, 4 მარტი, 1900 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

სახალხო სეირნობა
საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ". განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლღა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

„შრომის"

წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო 5 მარტისათვის, გადაიდო სხვა დროსათვის.
(1—6.—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მკურნალის
მიხეილ გედევანიშვილისა
ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე
კვირა დღეების გარდა
დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე.—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10½—12 საათ.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

გ. ლ. მარკევიჩი—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი სა განაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1½—2 ს. შინაგანი ავადმყოფობის.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7—7½ საათ.

ვ. მ. მახვილაძე—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ).

ტფილისი, 3 მარტი

საგლეხო ცვლილებათა შემდეგ, განახლებული და განთავისუფლებული სოფელი სულ სხვა ცხოვრებას მიეცა, ვიდრე ამ ცვლილებათა შემოღებამდე ჰქონდა. რაკი ცხოვრების ვითარება შეიცვალა და მოთხოვნილება გამრავლდა, ერთის სიტყვით, რაკი ცხოვრება სოფლისა გაფართოვდა და ამის გამო რთული გახდა, საგლეხო კანონები მალე დაძველდა და აღარ შეეფერებოდა ახალის ცხოვრების კალაპოტს. ასეთი შეუფერებლობა და შეუთანხმებლობა კანონისა და ცხოვრებისა იყო მიზეზი, რომ მარტივ საგლეხო კანონებს ზედ დაერთო ათასგვარი განმარტება და ახსნა კანონის რომელისამე ყრუდ გამოთქმულ მუხლისა.

ამ ნაირი განმარტება-ახსნანი მეტის მეტად ბევრი მოუნდა სასოფლო-სამართლისა და სამსჯავროს კანონებს. ადვილად მისახვედრია, თუ რად მოხდა ასე. ადამიანისათვის სამართალზედ უძვირფასესი არა არის რა. უსამართლო ქვეყანა და ერი ან მახვილით მოისპობა, ან თავისთავად გაჰქრება.

სასოფლო სამართლის შესახები კანონი დაფუძნებულია უმთავრესად ადათსა და ჩვეულებაზედ. გლეხთა შორის ატეხილი დავა-სარჩივარი საკუთრებისა და ქონების გამო, ან დანაშაული უნდა გაირჩეს ჩვეულების მიხედვითაო, ბრძანებს კანონი. ჩვეულება-კი ყოველდღე იცვლება, რადგან იცვლება თვით ცხოვრება. დამწერი და აღმნუსხველი შეცვლილი ჩვეულებისა არავინაა, ასე რომ, ხშირად აღარ იციან, რომლის ჩვეულებითა და ადათით იხელმძღვანელონ საჩივრის განხილვის დროს. მაგალითებრ, ქონებრივი უფლება გლეხის დედაკაცისა ისე აიწეწ-დაიწეწა სხვა-და-სხვა კუთხეში სხვა-და-სხვა ჩვეულების არსებობის გამო, რომ შეუძლებელი ხდება სამართლიანად გადასწყვიტო საქმე, როდესაც ასეთი საქმე სოფლის სამსჯავროდგან საგუბერნიო მთავრობასთან გადააქვთ. ჩვენში ჩვეულებად ყოფილა, რომ გათხოვილი ქალი მამა-პაპეულს უძრავს ქონებას მემკვიდრეობითი უფლებით ვერ მიიღებს და ასეთი ქონება ან მებატონეს უბრუნდებოდა, ან, თუ მამული სახაზინო მიწა იყო, სოფელს ეძლეოდა. ისეთი ჩვეულებაც იყო, რომ გაყრილი ძმა ძმის სიკვდილის შემდეგ მის მამულს ვერ შეეხებოდა. სხვა მაგალითების მოყვანა უალაგოდ მიგვაჩნია და ამისათვის ვჯერდებით ნათქვამითაც.

სენატმა დღეს ეს ნაკლულევანება სავსებით შეავსო და მკაფიოდ გამოსთქვა ის აზრი, რომ გლეხკაცს ისეთივე მემკვიდრეობითი უფლება აქვს, როგორიც დანარჩენ წოდებათაო და უჩვენა მეათე ტომის პირველ ნაწილის მე-1162 მუხლი, რომლის ძალითაც ქონება ბეითალმანად, ტიალად მაშინ ჩაითვლება, როდესაც გარდაცვალებულის შემდეგ არ დარჩება ნათესავი, თუნდა იგი შო-

ფელეტონი

უცხოთა შორის

საშუალო სწავლა-განათლების საქმე ევროპაში.—სახალხო განათლება გერმანიაში.—სახალხო განათლება შეერთებულ შტატებში.—სწავლა-განათლების საქმე ტრანსვაალში.—როგორ მიეგებნენ ინგლისელნი რობერტსის გამარჯვებას?—ლონდონელი მოსწავლე ბავშვები.—რა თვალით უყურებენ ინგლისელი მუშები ინგლის-ტრანსვაალის ომს?

როგორც მკითხველებს, უთუოდ, მოეხსენებათ, რუსულ საპედაგოგიო ლიტერატურაში და რუს პედაგოგთა შორის დაუსრულებელი კამათია იმის შესახებ: საშუალო სასწავლებლებში რომელ სისტემას განათლებისას უნდა მიეცეს უპირატესობა—კლასიკურს თუ რეალურს. ამ ბოლოს დროს უმაღლესმა მთავრობამაც დიდი ყურადღება მიაქცია საშუალო სწავლა-განათლების საქმეს: დანიშნულ იქმნა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ამ საგნის ყოველ მხრით გამოკვლევა და ახალის პროგრამის შემუშავება საშუალო სასწავლებელთათვის. ყველანი მოუთმენლად მოელიან კომისიის მუშაობის დასრულებას; იმედი აქვთ, რომ მალე მთავრობა დიდ ცვლილებას მოახდენს საშუალო სასწავლებლებში.

საყურადღებო ამ შემთხვევაში ის არის, რომ ამ ჟამად საშუალო სწავლა-განათლების საქმე ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მთავრობათა და პედაგოგთა სალაპარაკო და თავ-სატეხ საგანს შეადგენს. აწ არსებულის საშუალო სასწავლებლებისა ევროპაში ყველანი უკმაყოფილონი არიან, ყველანი თხოულობენ ამ სასწავლებლებში ცვლილებათა მოხდენას და იქ სწავლა-განათლების საქმის სხვა რიგად მოწყობას. ისეთი სახელმწიფო არ არის დღეს ევროპაში, სადაც პროექტს პროექტზედ არ ადგენდნენ საშუალო განათლებისას, მაგრამ სასურველ ნაყოფს ჯერ-ჯერობით მაინც ვერსად მიაღწიეს.

საყურადღებო ცნობებს იუწყება ამის შესახებ „Revue de Paris"-ში ბ-ნი ლანგლუა. საფრანგეთში უკანასკნელ 30 წლის განმავლობაში დაუსრულებელი კამათია საშუალო სასწავლებლების გამო. ყველგან საერთო უკმაყოფილება გაისმის. ამ ხნის განმავლობაში ხუთჯერ მოახდინეს ცვლილება საშუალო სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ უკმაყოფილებას მაინც ბოლო ვერ მოუღეს. დღეს ამ საგნის გადაწყვეტას საფრანგეთში ისევე გულ-მოდგინედ შეუდგნენ, როგორც რუსეთში.

პრუსიაში 1892 წელს თვით იმპერატორმა ვილჰელმ II-მ იკისრა კონფერენციის მოწვევა საშუალო განათლების საქმის გამოსარკვევად. ამის გამო ხუთასზედ მეტ პროფესორს შეეკითხნენ და ოთხასზედ მეტმა მსწავლულმა, მეცნიერმა და პედაგოგმა წარადგინა პროექტი იმისა, თუ რა ცვლილების მოხდენაა სასურველი საშუალო სასწავლებლებში. საერო განათლების სამინისტრომ იხელმძღვანელა აუარებელის მასალით და საშუალო სასწავლებლებისათვის ახალი პროგრამა შეიმუშავა. ეს პროგრამა იმავე 1892 წელს იქმნა მიღებული; მაგრამ ამ ახალმა პროგრამამ უფრო მეტი კამათი და უკმაყოფილება გამოიწვია.

საფრანგეთსა და გერმანიას ამ შემთხვევაში არც ინგლისი ჩამორჩა. იქაც არ ელევა ბოლო კამათს საშუალო სასწავლებლის გამო. სამი საპარლამენტო კომისია იქმნა დანიშნული ინგლისში იმ ცნობების შესაკრებად, რომლებითაც დასახელებულის საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ეხელმძღვანელათ. უკანასკნელ კომისიას დღესაც ვერ დაუსრულებია მინდობილი საქმე, იმდენად რთული და ძნელი გამოდგა იგი. ესევე ამბავია იტალიასა და სკანდინავიის სახელმწიფოებშიაც. იტალიაში 1862 წლიდგან დაწყობილი თერთმეტჯელ შესცვალეს კლასიკურ განათლების პროგრამმა; უმნიშვნელო ცვლილებათ ხომ დასასრული არა ჰქონდა. შვეციაში ამ უკანასკნელ 50 წელს არც ერთ საპარლამენტო სესსიას არ ჩაუვლია ისე, რომ ლაპარაკი არა ჰქონოდეს საშუალო სწავლა-განათლებისა და იმ „უფსკრულის შესახებ, რომელიც პირველ დაწყებითს სკოლასა და საშუალო სასწავლებლის შუაა". შარშან შემოდგომაზედ სტოკჰოლმის პარლამენტმა ახალი რეფორმა წარუდგინა მეფეს დასამტკიცებლად. რეფორმების შემოღებას საშუალო სწავლა-განათლების საქმეში შეერთებული შტატებიც ჰფიქრობს. სულ ბოლო დროს პორტუგალიასა, რუმინიასა და ესპანიაში მოახდინეს ასეთი რეფორმები.

ლანგლუას აზრით საშუალო განათლების საქმე ყველა სახელმწიფოსთვის ერთ უმთავრესს გადასაწყვეტ საგანს შეადგენს. გადასაწყვეტია ეს: რა სისტემა განათლებისა უნდა იქმნას შემოღებული, რომ რაც შეიძლება მალე ჰაბუკი კულტურულ კაცად გადაიქცეს. ავტორის აზრით, სიძნელე საშუალო განათლებისა ორკეცდება სხვა-და-სხვა ინდივიდუალურ პირობებისაგან-კი არა, არამედ იმის გამო, რომ ამ საქმეში პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ ტრადიციებისაგან თავი ვერ დაუღწევიათ: საჭიროა უპირველეს ყოვლისა ამ შემაფერხებელ ტრადიციებისაგან განთავისუფლებაო.

* * *

სულ სხვა სურათს წარმოადგენს პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება ევროპაში. რასაკვირველია, აზრთა სხვა-და-სხვაობას აქაც შეჰხვდებით, მაგრამ ამ საგნის გამო პედაგოგთა შორის არ არსებობს ისეთი კამათი და უთანხმოება, როგორიც ზევით მოვიხსენიეთ. ყველანი, მთავრობანი და კერძო კაცნი, ერთ-ნაირის გულმოდგინეობით ცდილობენ პირველ-დაწყებით სწავლის გავრცელებას მოზარდ-თაობის შორის და ამ მხრივ ბევრმა სახელმწიფომ დიდ წარმატებამდინაც მიაღწია. საკმაოა გავიხსენოთ გერმანია.

გერმანიაში სულ 54 მილიონი მცხოვრებია. 1900 წლის პირველ იანვრისათვის იქ 59,300 პირველ დაწყებით სახალხო სკოლა ითვლებოდა. ამ სკოლებში სწავლობს 8,660,000 ბავშვი; ასე რომ ყოველ 900 მცხოვრებზედ ერთი სკოლა და 160 მოსწავლე მოდის. მასწავლებელნი, ქალნი და ვაჟნი, მთელ კულტურულ ჯარს წარმოადგენენ; მათი რიცხვი 173,500 კაცამდე ადის. ორთა შუა რიცხვით თვითეულს

რეულიც იყოს, ან უკეთუ ათის წლის განმავლობაში მემკვიდრეობის მაძიებელნი თავიანთ უფლებას არ განაცხადებენ. ამ განმარტების შემდეგ გლეხს, თუნდ გაყრილი იყოს, ან სხვა ქალაქსა და დაბა-სოფელს ჩასახლებული, უფლება ეძლევა მოითხოვოს „ნადელად“ მისის ნათესავის მამული. ბატონს ამ შემთხვევაში უფლება არ ექნება უარი უთხრას. ასეთივე უფლება ეძლევა დედაკაცსაც. უკეთუ დამტკიცდება, რომ მემკვიდრეობის მაძიებელი დედაკაცი ღვიძლი, ან შორეული ნათესავია, გათხოვილია, თუ სხვათა სოფელსაა გადასული, სულ ერთია ნება ექმნება თავისის ნათესავის მამული ჩაიბაროს სახმარად და სასარგებლოდ.

სენატის განმარტება გამოწვეული ტფილისის გუბერნიაში მომხდარ შემთხვევით. საგუბერნიო საგლეხო საკრებულომ ისევე შეჰხედა საქმეს, როგორც სენატმა და ამიტომ დაამტკიცა მისი განკარგულება, რომ მარიამ ჩხეიძეს დაუბრუნდეს ბიძის იოსებ ბუდინაშვილის ნაჭერი ვენახი.

სენატის განმარტება, კანონად რომ იქცეს, დიდ სარგებლობას მოუტანს სოფელსა, სადაც მართლმსაჯულება ძალზედა ჰკოჭლობს და ადამიანს უფლების შელახვა ხშირი მოვლენაა. სამწუხარო აქ ერთია, რომ სენატის აზრი ზოგჯერ იცვლება ხოლმე. ეს ერთი. მეორე ისაა, რომ სენატის განმარტებას კანონის ძალა მარტო იმ საქმისათვისა აქვს, რომლის გამოც იგი იყო წარმოთქმული. ამისათვის ფრიად საჭიროა, რომ სენატის მიერ გამოთქმული დედა-აზრი მარიამ ჩხეიძის საჩივრის გამო დაკანონდეს და ამით ბოლო მოეღოს სამუდამოდ რყევასა და აზრის სხვა-და-სხვაობას, თუ ვის უნდა დარჩეს მამაპაპეული მამული გარდაცვალებულის გლეხისა, იმისს ღვიძლსა და შორეულს ნათესავებს, გაყრილნიც რომ იყვნენ, ან სხვაგან გადასულნი, თუ საკომლო მიწა უნდა დაუბრუნდეს მებატონეს.

ა. ფრონელი

ახალი ამბავი

⁂ ჩვენს თანამემამულეს, ცნობილს ფიზიოლოგოსს აკადემიკოსს თავ. ივ. რ. თარხნიშვილს, რომლის სამეცნიერო და საპროფესორო ოც-და-ათის წლის ნაყოფიერს მოღვაწეობას ს. პეტერბურგში გუშინ, 3 მარტს იდღესასწაულებდნენ მისნი ამხანაგნი მეცნიერნი და პროფესორნი და უმეტესად-კი პეტერბურგის მოსწავლე ახალგაზრდობა და გარეშე საზოგადოება, რომელსაც აგერ ხუთი წელიწადია ლექციებს უკითხავს „სოლიანოი გოროდოკში“ ფიზიოლოგიიდგან, სხვათა შორის, ბ-ნმა იაკობ გოგებაშვილმა შემდეგი მისალოცი დეპეშა გაუგზავნა: „ქართველნი პედაგოგნი გულითა და სულით გილოცავენ ოც-და ათის წლის იუბილეს თქვენის ნაყოფიერის მოღვაწეობისას საპროფესორო და სამეცნიერო ასპარეზზედ და მხურვალედ ჰნატრობენ, რომ დიდხანს სცოცხლობდეთ რუსეთისა და თქვენის სამშობლოის საქართველოს საკეთილდღეოდ.“

⁂ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების თავმჯდომარემ თ-დ. ილია გრიგოლის ძე ჭავჭავაძემ შემდეგი მისალოცი ტელეგრამა გაუგზავნა პეტერბურგში პროფესორ თარხნიშვილს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა, ულოცავს-რა მხცოვან იუბილიარს ოც-და-ათი წლის ნაყოფიერ სალიტერატურო-სამეცნიერო მოღვაწეობას, უძღვნის გულ-წრფელ სალამს ღირსეულ მამულიშვილს და უსურვებს ხანგრძლივს სამსახურს სამეცნიერო ასპარეზზედ თავისს და საქართველოს შვილების სასახელოდ. საზოგადოების თავმჯდომარე ი. ჭავჭავაძე“.

⁂ ამ რამდენისამე წლის წინად ვერის ხიდს ზემოდ ბ-ნ სტრუვესაგან ქალაქმა შეიძინა კარგა მოზრდილი ადგილი, საიდგანაც კარგი შემოსავალიც ჰქონდა, რადგანაც ამ ადგილას მეტივენი აყენებდნენ ხოლმე ტივებს და ტივებზედ მაშინ კარგი გარდასახადი იყო ქალაქის გამგეობისაგან დადებული. მკითხველებმა როგორც უწყიან, ტივების გარდასახადი უკვე მოსპობილია, ასე რომ იმ ადგილიდგან ქალაქს არავითარი შემოსავალი აღარ აქვს. ეხლა ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს ა. ჯაბადარს წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ ვერის ხიდის ზემოდგან გზა ჩაიყვანონ იმ ადგილას და იჯარით მიეცეს მსურველთ სავაჭრო-სამრეწველო სახლების ასაგებად, რითაც ქალაქს კარგი შემოსავალი ექმნება.

⁂ ოთხშაბათს, 1 მარტს, ქალაქის გამგეობამ განიხილა ნავთლუღსა, ნაძალადევსა და ქალაქის ბაკს ახლო მდებარე მიწების სამოსახლო ადგილებად იჯარით გაცემისა და საიჯარადრო გარდასახადის დაწესების შესახებ და დაადგინა: 1) ნავთლუღში რკინის გზის გაყვანამდე გასცეს იჯარით მხოლოდ 35 ნაჭერი მიწა და სხვა მიწანი, ნაძალადევის ქვემოთა და ქალაქის ბაკის ახლო მდებარენი; 2) საიჯარო გარდასახადად ყოველ ოთხ-კუთხ საჟენისთვის წელიწადში დაწესოს 10 და 15 კაპ., იმ პირობით, რომ კუთხის ნაჭრებში გარდასახადი 15 კაპ. იყოს ამატებული; 3) საიჯარო ვადად 24 წელიწადი დაინიშნოს, ხოლო ისე კი, რომ ყოველ ექვს წელიწადში ერთხელ ეს ადგილები კვლავ დაფასდეს და საიჯარო გარდასახადს 20% მიემატოს, სადუქნეთ ნაჭერ მიწებს გარდა, რომელიც საჯარო ვაჭრობით უნდა გაიცეს იჯარით და 10 წელიწადზედ არა მეტის ვადით; 4) ამ მიწების იჯარით აღების ნება არ მიეცეთ იმათ, რომელთაც ქალაქში უძრავი საკუთრება აქვთ, იმ მცირეზომიან ადგილების პატრონთა გარდა, რომელთაც კანონით თავიანთ საკუთარს მამულზედ შენობის აგება არ შეუძლიანთ; 5) მიწების იჯარით გაცემის დროს უპირატესობა ტფილისის მცხოვრებთ მიეცეთ; თუ ერთსავე და იმავე პირობით ერთის ნაჭერის მიწის იჯარით აღება რამდენიმემე მოინდომა, იმათ შორის წილი იყაროს; 6) ერთს ერთ ნაჭერ მიწაზედ მეტი არ მიეცეს იჯარით; 7) დაევალოს მეიჯარადრეთ, რომ იჯარით აღებული ნაჭერი მიწისა შემოჰღობონ და ოთხის თვის განმავლობაში დაიწყონ შენობის აგება, თუნდა ერთი საცხოვრებელი ოთახი მაინც აღაშენონ.

⁂ ინჟენერ ალფონს რობიმ ქალაქის გამგეობაში დამატებითი პროექტი შეიტანა მამა-დავითის გორაზედ გასამართ ფუნიკულერის კონცესიის ვადისა და კოჯორის რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ. ამ ჟამად ბ-ნი რობი ხელ-ახლადა სთხოვს, რომ ფუნიკულერის კონცესიის ვადად 45 წელიწადი დაინიშნოს და თანხმობას აცხადებს იკისროს კოჯორის რკინის გზის შტოს გაყვანა. პირობის წერილში, ამბობს ბ-ნი რობი, შეიძლება შემდეგი ორი მუხლიც იქმნას შეტანილი: კონცესიის ამღები ვალდებულია შუამდგომლობა დაიწყოს, რომ ნება-დართულ იქმნას რკინის გზის გაყვანა ფუნიკულერის ზემო სადგურიდგან კოჯრამდე. თუ ორის წლის განმავლობაში ფუნიკულერის გამართვის კონცესიის აღების შემდეგ მან ნებართვა ვერ მიიღო ხსენებულ რკინის გზის გაყვანისა თავისისავე მიზეზით, მაშინ წინდად ქალაქის კასსაში შეტანილი ფული ქალაქს რჩება საკუთრებად, ხოლო კონცესიის ამღები ვალდებულია კვლავ შეიტანოს წინდის ფული ერთის თვის განმავლობაში. თუ ვინიცობაა კოჯრის რკინის გზის კონცესიაც ბ-ნმა რობიმ მიიღო, მაშინ ამ რკინის გზის სიარულის დაწყების დღიდგან მგზავრთ, რომელნიც პირდაპირ კოჯორს, ან კოჯრიდგან ქალაქს წავლენ-წამოვლენ, დაკლებული სასყიდელი გარდახდებათ ფუნიკულერში. სახელდობრ, ფუნიკულერის ქვემო სადგურიდგან ზემო სადგურამდე—15 კაპ., ხოლო ზემო სადგურიდგან ქვემოთამდე—10 კაპ. იმ სასყიდელს გარდა, რომელიც ფუნიკულერის ზემო სადგურიდგან კოჯრამდე წასასვლელად უნდა გარდაიხადონ.

რობის ეს წინადადება გუშინ საღამოს უნდა განეხილა გამგეობასა და ხმოსანთა კომისიის შეერთებულ კრებულს.

⁂ ტფილისის გუბერნიაში, თანახმად ახალის წესდებისა, ამ ჟამად უკვე შედგენილია საპოლიციო მცველთა რაზმი, რომელიც შესდგება სულ 775 კაცისაგან. მცველთა რაზმი ტფილისის გუბერნიის მაზრებში ამ რიგად არის განაწილებული: ტფილისის მაზრაში იქნება 147 კაცი, გორისაში—139 კაცი, დუშეთისაში—51 კაცი, თიონეთისაში—33, ახალქალაქისაში—66, ახალციხისაში—60, თელავისაში — 39, სიღნაღისაში—102 და ბორჩალოს მაზრაში 124 კაცი. დანარჩენები-კი მთელის გუბერნიის სათადარიგოდ არიან ჩარიცხულნი.

⁂ 2 მარტს ტფილისის ქალაქის გამგეობის საქმის მწარმოებლად ნამყოფმა ბ. ბეკმა, რომელიც ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ. ევანგულოვმა დაითხოვა მხოლოდ იმისთვის, რომ გამგეობისავე წევრს შესტაკოვს უწყებაზედ დაუწერა „ბატონს შესტაკოვსაო“, გამოუცხადა ქალაქის მოურავს, რომ თუ ხუთის დღის განმავლობაში არ წარუდგენთ ჩემს საჩივარს თქვენის უკანონო მოქმედების შესახებ ქალაქის საბჭოს,

---

მასწავლებელზედ 63 მოსწავლე მოდის. სამასწავლებლო სემინარიებში ყოველ წელიწადს 26,000 კაცი ათავებს სწავლას.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ამდენ სკოლებს დიდი გაძღოლა უნდა და დიდი ხარჯი სჭირია. სამწუხაროდ, დაწვრილებით სტატისტიკური ცნობები არ მოიპოვება იმის შესახებ, თუ მთავრობა, ქალაქები, სოფლის საზოგადოებანი და კერძო კაცნი რა ხარჯებს ეწევიან. იმ გაზეთის კორესპონდენტს, რომლითაც ჩვენ ვსარგებლობთ, მოჰყავს ზოგიერთი ცნობა, მაგრამ ეს ცნობები 1890 წელს ეკუთვნის და, რასაკვირველია, დღევანდელი ხარჯი სწავლა-განათლებისთვის ბევრად დიდი უნდა იყოს.

1890 წელს ქალაქებს, სოფლის საზოგადოებათ და სათემო კავშირებს თავიანთ ბიუჯეტებიდგან პირველ-დაწყებით სწავლა-განათლებისთვის გადაუდვიათ სულ 243½ მილიონი მარკა. ამას უნდა მიუმატოთ ხაზინიდგან გადადებული ფული: 100 მილიონი მარკა—სახალხო სკოლებისთვის, 14 მილიონი—სამასწავლებლო სემინარიებისთვის, 20 მილიონი—მასწავლებელთა პენსიებისთვის და ამდენივე—სასკოლო შენობებისთვის. ერთად 400 მილიონი მარკა შესდგება. მაგრამ ეს კიდევ სულ არ არის: ქალაქის სკოლების უმრავლესობას და ბევრ სოფლის სკოლასაც საკუთარი შენობა აქვს, ასე რომ ამისთვის არავითარ ხარჯს არ ეწევიან. ბერლინი, მაგალითად, ყოველ წელიწადს 16½ მილიონ მარკასა ჰხარჯავს პირველ დაწყებით სწავლა-განათლებაზედ, მაგრამ ამასთან ქალაქს 180 საკუთარი სასკოლო შენობა აქვს. თვითეულ შენობაში მოთავსებულია 1000—2000 ბავშვი. თუ მხედველობაში მივიღებთ ყველა ამას, გამოვა რომ გერმანიას ჯერ ისევ 1890 წელს 200 მილიონი მანეთი დაუხარჯნია სახალხო სკოლებზედ, ე. ი. შვიდჯერ მეტი, ვიდრე რუსეთის საერო განათლების მთელი ბიუჯეტია.

ამ ანგარიშში, რასაკვირველია, ჩათვლილი არ არის ის ხარჯი, რომელსაც კერძო კაცნი და კერძო დაწესებულებანი ეწევიან პირველ დაწყებით სწავლა-განათლებისათვის. გერმანიაში სახელოსნო, სატეხნიკო და სხვა მრავალ გვარი სასწავლებელი ათასობით ითვლება; ამას მიუმატეთ საკვირაო სკოლები, საღამოს კურსები და ადვილად მიხვდებით ამ საქმეში რამდენად დაწინაურებულია გერმანია.

„ის უცხო ქვეყნელი, რომელიც კი დაუახლოვდება გერმანიის შინაურ ცხოვრებას, გაიგებს, რა მშვენივრად არის მოწყობილი სწავლა-განათლების საქმე იქ, თავისდა უნებურად შურის თვალით შეჰხედავს ყველა ამას და ინატრებს, ნეტავი ისეთი დადგეს, რომ ჩემი სამშობლოც ამ ყოფაში იყოსო“,— სწერს ზემოხსენებული კორესპონდენტი.

* * *

სწავლა-განათლების საქმეში გერმანიას არც ამერიკის შეერთებული შტატები ჩამოუვარდება. ამ სახელმწიფოს მთავრობის უკანასკნელი ანგარიში 1897—1898 წლის სახალხო განათლებისა მრავალ საყურადღებო ცნობას შეიცავს.

1870—71 წელს შტატებში 39½ მილიონი მცხოვრები იყო. პირველ დაწყებითი სკოლებში სწავლობდა მაშინ 7½ მილიონი ბავშვი; 1879—80 წელს—50,1 მილიონი მცხოვრები, სწავლობდა სკოლებში 9,8 მილიონი ბავშვი; ხოლო საანგარიშო 1897—1898 წელს—72,7 მილიონი მცხოვრები იყო, სწავლობდა კი სკოლებში 15 მილიონი ბავშვი.

მასწავლებელი 1870—71 წელს იყო სულ 220,225, აქედგან მამაკაცი—90,293, დედაკაცი—129,932, 1879—80 წ.—286,593, მამაკაცი—122,795, დედაკაცი—163,198, 1889 წელს—409,193, აქედგან მამაკაცი—131,750, დედაკაცი—277,443. ამ ციფრებიდგან მკითხველს აშკარად შეუძლიან დაინახოს, ამერიკაში დედაკაცი თან და თან როგორ იმარჯვებს და საპედაგოგიო ასპარეზიდგან როგორა სდევნის მამაკაცსა.

აუარებელი ფული იხარჯება ამერიკაში ყოველ წელიწადს სახალხო სწავლა-განათლებისათვის. 1889 წ. სახალხო სკოლების შენახვას მოუნდა სულ 286,2 მილიონი მანეთი; 1897—98 წელს კი—398,6 მილიონი მანეთი. ამ ხარჯს ზოგს სახელმწიფო ეწევა, ზოგს მცხოვრებნი, ზოგს კიდევ განსაკუთრებული, სწავლა-განათლებისათვის დაარსებული, ფონდი; კერძო შემოწირულებაც ბევრია ხოლმე. ყველაზედ მეტს მაინც ადგილობრივი მცხოვრებნი იხდიან—1898 წელს მათი ხარჯი 268,2 მილიონ მანეთს შეადგენდა.

ორთა შუა რიცხვით პირველ დაწყებით სკოლებში ყოველ დღე დადიოდა: 1870 წელს—4,5 მილიონი ბავშვი, 1879 წ.—6,1 მილიონი, 1889 წელს—8,1 მილიონი და 1897 წელს—10, 2 მილიონი ბავშვი.

როგორც ყველგან, საშუალო და მაღალი სასწავლებლები ამერიკაშიაც არსებობს. ყველა სასწავლებლის მოსწავლეთა რიცხვი ერთად 1898 წელს 16,6 მილიონს აღემატებოდა. აქედგან პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სწავლობდა 15,8 მილიონი (კერძო სასწავლებლებში—1,2 მილიონი), საშუალოში—626 ათასი (კერ.—166 ათასი) და უმაღლესში 222 ათასი (კერ.—138 ათასი). ამერიკის 32 შტატში კანონით ბავშვებისათვის პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლება სავალდებულოა. სავალდებულოა სკოლაში სიარული ბავშვისათვის 8-დგან 14 წლამდე.

ზოგიერთ სხვა სახელმწიფოებთან შედარებით ამერიკაში სახალხო სკოლის მასწავლებელს კარგი ჯამაგირი ეძლევა. ორთა შუა რიცხვით მასწავლებელ კაცს ეძლევა თვეში 100 მანეთამდე, მასწავლებელ ქალს 80 მანეთამდე.

ყველა ზემოდ მოხსენებულს გარდა, ამერიკაში, როგორც გერმანიაში, საკვირაო სკოლები და სხვა-და-სხვა სახალხო კურსებიც ბევრია. ამასაც თუ მხედველობაში მივიღებთ, მაშინ შეერთებულ შტატებში მოსწავლეთა რიცხვი 17,1 მილიონამდე ავა.

ვგონებთ, მკითხველი არ გვისაყვედურებს ამ მშრალის ციფრების ამოწერისათვის, რადგანაც ეს თავის და თავად მშრალი ციფრები ბევრ რამის მთქმელია.

⁂

პირველ-დაწყებით სწავლა-განათლებას ამ ბოლოს დროს დიდი ყურადღება ისეთმა მივარდნილმა სახელმწიფოებმაც-კი მიაქციეს, როგორიც, დღეს ყველასაგან სალაპარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული ვიქნებით ბ-ნ გუბერნატორთან ვიჩივლოთ.

* * ქუთაისის გუბერნიამ დიდძალი კვერცხით მოვაჭრენი მიიზიდა. ბათუმსა და სამტრედიაში კანტორები გაჰმართა ზეიფერტის სავაჭრო სახლმა. კანტორას პირდაპირ სოფლელებთან დაუჭერია საქმე და კარგს ფასებსაც იძლევა თურმე კვერცხში. სამტრედიაში წარსულის წლის დეკემბერში გაიმართა კანტორა, და დღემდის 300,000 კვერცხი უყიდნია 6,900 მან. კვერცხი იგზავნება საფრანგეთსა, გერმანიასა, ბელგიასა და ინგლისში. სამტრედიის კანტორის გამგის ბ-ნ გარმსის ანგარიშით, სამტრედიის კანტორას შეუძლიან გაჰგზავნოს ყოველ წლივ სხვა-და-სხვა ადგილას 50 ვაგონი კვერცხი, ანუ, თუ ვიანგარიშებთ, რომ თითო ვაგონს შეუძლიან 300 ათასი კვერცხის წაღება, სულ 15 მილიონი კვერცხი, რომელიც 300 ათას მანეთამდე ღირება. ზეიფერტის უმთავრეს კანტორებს (ვენასა და ჰამბურგში) ის აზრი გამოუთქვამს, რომ ქუთაისის გუბერნიის ქათმების კვერცხს თამამად შეუძლიან ცილობა გაუწიოს ავსტრიის კვერცხს, თუ ხალხი სუფთად შეინახავს და ეცდება სიმძიმე მოუმატოს, თუმცა ეხლაც საპატიო ადგილი უჭირავს იქაურს კვერცხს ლონდონისა და ბერლინის ბაზრებშიო.

* * შორაპნის განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწედ დაინიშნა ნიჟეგოროდის გუბერნიის ქალაქ კასილსურსკის მოსამართლე სტ. სოვეტ. ვერდი.

* * სომხური გაზეთი „მშაკი“ სწერს, ბათუმის ნავთ-სადგურის გასაუმჯობესებლადა და გასაფართოებლად მთავრობას 12 მილიონი მანეთი გადაუდვიაო.

* * ქრისტეშობისთვე, იანვარი და თებერვლის პირველი რიცხვები ისეთი თბილი იყო სოხუმში, რომ ხალხი სულ საზაფხულო ტანისამოსით დაიარებოდა. ჯერ კიდევ იანვრის შუა რიცხვებში ხეხილები აყვავდა და იანვრის დამლევს ხომ სულ დაიფარა ნორჩი ფოთლებით, მაგრამ ათ თებერვლიდგან ასტყდა დრო-გამოშვებით ცივი ქარი და წვიმა და ახლა ყინვებიც-კი მოაყოლა. 23—24 თებერვალს 3—4 გრადუსი ყინვა იყო ღამით, რამაც ძალიან დააზიანა ბაღები.

* * ქალაქის გამგეობა შეეკითხა ქალაქის წყლის მილის გამგე ინჟინერს ჩიკალინს იმის შესახებ, თუ 29 თებერვალს, როდესაც დიდუბეში სახლს ცეცხლი წაეკიდა, რა მიზეზით დიდუბის წყლის მილში წყალი საკმარისად არ მოდიოდაო. ეხლა როგორც ჩიკალინისაგან გამგეობაში წარდგენილ ცნობებიდგან სჩანს, 28 თებერვალს ქალაქს ავჭალიდგან მიუღია სულ 439,914 ვედრო წყალი. ასე რომ 28—29 თებერვალს დიდუბის ქვემო წყლის მილში ყოფილა 57,500 ვედრო წყალი და ზემოში-კი 65,065. ინჟინერი წყლის ნაკლებულობის მიზეზს ხსნის იმ გარემოებით, რომ დიდუბეში მხოლოდ ერთი ონკანია, რომელიც ცეცხლის გაჩენის დროს დაკეტილი იყოო და თუმცა გამოამტვრიეს კარები, მაგრამ ცეცხლის მქრობელ რაზმის წყლის მზიდველნი მალ მალ ვერ უდგებოდნენ ონკანს და მხოლოდ სათითაოდ ავსებდნენ ბოჩკებსო.

* * კვირას, 5 მარტს, შუადღის 12 საათზედ, ანჩისხატის ტაძარში პანაშვიდი იქმნება გარდახდილი განსვენებულის მღვდლის ალექსანდრე მოლოდინაშვილის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი ბ-ნ ი. მონადირაშვილის ხორის თანხლობით იქმნება გარდახდილი.

* * 1 მარტს შორაპნის მაზრის მცხოვრებელმა სანდრო ბუზინიძემ, რომელიც ბაიდრელოვთან იყო მოსამსახურედ ცხინვალის ქუჩაზედ, ბ-ნს ბაიდრელოვს ქისა მოჰპარა და გაიქცა. ქისაში ოცი თუმანი ყოფილა.

უცხოეთი

—

ინგლის-ტრანსვაალის ომი. როგორც ვიცით, დეპეშამ ამბავი მოიტანა და ოფიციალურადაც გამოაცხადა ინგლისის მთავრობამ, რომ 29 თებერვალს ფელდმარშალი რობერტსი თავისი ჯარებით შევიდა ორანჟის რესპუბლიკის სატახტო ქალაქ ბლუმფონტენში და ინგლისის დროშა გაფრიალებულია რესპუბლიკის პრეზიდენტის—შტეინის სახლზედა. ამნაირად ტრანსვაალის მოკავშირე ორანჟის რესპუბლიკა დამორჩილებულია ინგლისის მიერ და ბრძოლის ველის დასავლეთ მხარეს უზრუნველ ყოფილად უნდა ჩაითვალოს ბრიტანიის მხედრობა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან, უამისოდაც მცირედი ბურების ჯარი, გენერალ კრონიესა და 3—4 ათასი კაცის დაკარგვის შემდეგ, კიდევ უფრო შესუსტდა, და მრავალ რიცხოვან ინგლისის მხედრობას 10—12 ათასი კაცი გზას ვერ შეუკრავდა. ეხლა საქმე იმაშია, ამის შემდეგ გაუადვილდებათ ინგლისელებს ტრანსვაალის დაჭერა, ისე ადვილად შევლენ ამ რესპუბლიკის სატახტო ქალაქშიაც, როგორც ბლუმფონტენში შევიდნენ, თუ არა? რაღა თქმა უნდა, ინგლისელების მიერ ორანჟის დაპყრობით ტრანსვაალი მეტად დასუსტდება, მაგრამ მაინც საეჭვოა, ინგლისს იაფად რომ დაუჯდეს მისი დამორჩილება. პრეზიდენტმა კრიუგერმა უკვე წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას ომი მოესპოთო, მაგრამ პასუხად მიიღო, რომ ინგლისი მაშინ შესწყვეტს ომს, როცა თავისუფლებას ჩამოართმევს ორივე მებრძოლ რესპუბლიკასო. აქედგან ცხადია, რომ ინგლისის მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს ტრანსვაალი და ორანჟე თავისს საკუთრებად აქციოს. მაგრამ ახალი ამბავი არ არის, თუ როგორის თავგანწირულებით იცავენ ბურები თავიანთ დამოუკიდებლობას. ინგლისის ასეთი პასუხი, რაღა თქმა უნდა, დიდად დაალონებდა ბურებს, მაგრამ ნიშან-წყალიც არ არის იმისა, რომ ტრანსვაალს იარაღის დაყრა ჰქონდეს აზრად. ტრანსვაალი ძნელად გასავლელი მთებით არის შემორტყმული სამხრეთისა და დასავლეთის მხრივ და შიგაც მთა-გორებით არის მოცული. ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ინგლისის ჯარი ისე ადვილად ვერ შევა ტრანსვაალში, როგორც ორანჟის რესპუბლიკაში შევიდა. გარდა ამისა ისიც ცხადია, რომ ორანჟის ჯარები, რომელთაც იარაღი არ დაუყრიათ, ტრანსვაალის ჯარებს შეუერთდებიან, რომელთა სატახტო ქალაქში—პრეტორიაში გადასახლებულია ორანჟის რესპუბლიკის პრეზიდენტი შტეინი. პრეტორიას, როგორც ამას წინათაც მოიტანა ამბავი დეპეშამ, საშინლად ამაგრებენ თურმე. ტრანსვაალელებს გარდაწყვეტილი აქვსთ, რომ ნებით არას შემთხვევაში არ დამორჩილდნენ მტერს. პრეტორიაში ქალებიც-კი გამოსულან საომრად და განსაკუთრებული ჯარი შეუდგენიათ. ამასთანავე, ორანჟის ჯარების დამარცხებამ ყველას გულში სიბრალული აღძრა ბურებისადმი და ტრანსვაალის მისაშველებლად მრავალი ვოლონტიორი მიდის თურმე სხვა-და-სხვა ქვეყნიდგან. ლორენცო-მარკეზედგან „Times“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ინგლისის მთავრობამ დრო არ უნდა დაჰკარგოს და ადრე მოურიგდეს კრიუგერს, თორემ ყოველდღე ასობით მიდიან პრეტორიაში უცხოელი ვოლონტიორები, რომელთა შორის მრავალი ინჟინერი და არტილერიის მცოდნენი ურევიანო.

კორესპონდენტის სიტყვით, რობერტსმა თუ დააგვიანა პრეტორიაზე გალაშქრება, ბურები მოასწრებენ გამაგრებას, მხედრობის განწესრიგებაში ცვლილებას მოახდენენ და დიდხანს შეეძლებათ თავის დაცვა. „რეიტერის სააგენტოს“ კორესპონდენტი იწერება, რომ მთავრობისა და კერძო წრეებში, ერთი სიტყვით ყველგან ტრანსვაალში გარდაწყვეტილი აქვთ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე კიბრძოლოთო. ამასთანავე თავიანთი მდგომარეობა ტრანსვაალელებს იმაზედ უფრო ცუდად არ მიაჩნიათ, ვინემ ომის დაწყების დროს იყოვო.

— გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ატყობინებს თავისი კორესპონდენტი ლონდონიდგან, რომ ინგლისელები ამბობენო, რომ სამხრეთ აფრიკაში ჩქარა იმაზედ მომეტებული ჯარის-კაცი გვეყოლება, რამდენიც ორთავე რესპუბლიკაში ბურები არიანო. ჯარები ისევ იგზავნებიან ინგლისიდგან, და ეხლა განზრახული აქვთ ქალებისაგან შეადგინონ რამდენიმე პოლკიო. როგორც კორესპონდენტი ამბობს, ლონდონის ქალების მთავარ კლუბს („პიონერები“ საგანგებო კრებაზედ დაუდგენია შეადგინონ ამაზონკების პირველი პოლკი.

დამაკვირდი

სულელს ჭკვიანი არ უყვარს, რადგან მის თვალებში კითხულობს თავისს სისულელეს.

ს. ყ—ნი

* * *

რაოდენნი არიან დღეს ჩვენ შორის იმისთანანი, რომელნი, მიუხედავად მათის დასაგმობის ქცევისა, კადნიერებით გაიძახიან: „უშვით, საქმემან ჩვენმან გვაცხოვნოს და გვადიდოს ჩვენ?“

ლასურიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 მარტი

სოფია. 1 მარტს, დილით, ტაძარში გარდახდილ იქმნა წირვა მეფე-განმათავისუფლებელის ალექსანდრე II-ს სულის მოსახსენებლად.

პრეტორია. ბურების ჯარის უფროსი შემდეგ დაწვრილებით ამბავს იუწყება აბრაამსკრაალთან მომხდარ ბრძოლის შესახებ: „ინგლისის ჯარი, 40,000 კაცისაგან შემდგარი, მოუახ-

---

კოდ გამხდარი, ტრანსვაალისა და ორანჟეს რესპუბლიკებია. ერთ ჟურნალში საინტერესო ცნობებია დაბეჭდილი ამის შესახებ.

ტრანსვაალის მთავრობა სულ უკანასკნელ დროს შეუდგა სასკოლო საქმის მოწყობას. აქამდის ბურები თითქმის ყურადღებას არ აქცევდნენ სწავლა-განათლებას. ამის მიზეზი უმთავრესად ის იყო, რომ ტრანსვაალში ხალხი გაფანტულად სცხოვრობს, ფერმები ერთი-ერთმანეთზედ რამდენისამე ვერსით არის დაშორებული, ხშირ, დასახლებულ სოფლებს იქ სულ ვერ შეხვდებით.

ამისდა მიუხედავად ტრანსვაალის მთავრობა ეს რამდენიმე წელიწადია შეუდგა პირველ-დაწყებით სკოლების დაარსებას იქ, სადაც 30—40 კომლი მაინც სცხოვრობს. ამ საქმეში ხელს უწყობს მთავრობას ადგილობრივი სამღვდელოებაც. ბურები ჯერ კიდევ ეჭვის თვალით უყურებენ სკოლას და მაინც და მაინც დიდის ხალისით არ ეტანებიან; უფრო-კი ბავშვების საქმისაგან მოცდენა ეძნელებათ. ამის გამო სკოლებში სწავლა სულ 5—6 თვე სწარმოებს ხოლმე, უფრო შეძლებული ფერმერები კერძო მასწავლებლებს იწვევენ. ასეთ მასწავლებელს ეთმობა სადგომი და ეძლევა თვეში 150 ფრანკი. მახლობელ ფერმერთა შვილები, რომელნიც გაკვეთილებზედ დაიარებიან, იხდიან მასწავლებლის სასარგებლოდ თვეში 12-დგან 15 ფრანკამდე. ასეთი მასწავლებელი ბურის ოჯახის ნამდვილ წევრს შეადგენს: ყველა საქმეში ეკითხებიან, წერილებს აწერინებენ და სხ.

ორანჟეს რესპუბლიკაში პირველ დაწყებით სკოლაში სიარული ყველა ბავშვისათვის სავალდებულოა. იქ სამუდამო საქალაქო და სასოფლო სკოლებს გარდა არსებობს აგრეთვე ეგრედ წოდებული მოძრავი სკოლებიც: მასწავლებელი ერთ ადგილას არა სცხოვრობს: რამდენსამე თვეს ერთ სოფელში ატარებს, რამდენსამეს კიდევ მეორეში. სამუდამო სკოლებისთვის შენობის აგებას თვით მთავრობა კისრულობს. ქალაქის მასწავლებლებს გადაწყვეტილი ჯამაგირი ეძლევათ, სოფლის მასწავლებლის ჯამაგირი-კი დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზედ. ღარიბებს უსასყიდლოდ ასწავლიან. უფროს მასწავლებელს მთავრობისაგანაც ეძლევა ჯამაგირი—თვეში 15 ფრანკი. სახელმძღვანელოებს და სამოსწავლო ნივთებს მთავრობა დაკლებულ ფასად უთმობს მოსწავლეებს, ღარიბებს-კი უსასყიდლოდ ურიგებს.

მოძრავი სკოლები იმ ადგილებში არსებობს, სადაც მოსწავლეთა რიცხვი 10 კაცს არ აღემატება. ასეთ სკოლებისთვის მთავრობა ჰნიშნავს მასწავლებელს და თვეში 200 ფრანკს აძლევს, ამას გარდა მოსწავლენიც გადაწყვეტილ ფასს იხდიან იმის სასარგებლოდ. ორანჟეს რესპუბლიკის სასოფლო სკოლებში ასწავლიან: საღმრთო წერილს, საეკკლესიო გალობას, წერა-კითხვას და ანგარიშს. საქალაქო სკოლებში ამას გარდა ასწავლიან: გრამატიკასა, საერო ისტორიას, გეოგრაფიას, ხატვას და უფროს კლასებში ინგლისურ ენასაც.

ყველა ოლქში სასკოლო საბჭო არსებობს, რომელიც სამის კაცისაგან შესდგება. საბჭოს წევრნი ვალდებულნი არიან თვალ-ყური ადევნონ სკოლებს და სხვაფრივაც იზრუნონ სწავლა-განათლებისთვის. წელიწადში ერთხელ სკოლებს რევიზიას უშვრება მთავრობის ინსპექტორი.

* * *

ასე გულ-მოდგინედ მოჰკიდა ხელი ამ ორმა პატარა რესპუბლიკამ სწავლა-განათლების საქმეს. სამწუხაროდ, მალე მათ თვით-მოქმედებას ბოლო მოეღება: ინგლისმა საბოლოოდ გარდასწყვიტა ამ ორ რესპუბლიკას დამოუკიდებლობა მოუსპოს. გენერალ რობერტის უკანასკნელმა გამარჯვებებმა უიმისოდაც ზვიადი და ამაყი ბრიტანელნი უფრო გააზვიადა და გაამაყა. ერთის სიხარულითა და ამბით მიეგებნენ ინგლისელნი რობერტსის უთვალავ ჯარის გამარჯვებას მცირე რიცხოვან მოწინააღმდეგესთან ბრძოლის დროს. მთელი ინგლისი დღესასწაულობს ამ გამარჯვებას.

ბევრგან ჩვეულებრივ ზრდილნი და დინჯნი ინგლისელნი წრესაც-კი გადავიდნენ. კანადაში, მაგალითად, ფრანგ სტუდენტებს ჩხუბი აუტეხეს, რატომ ჩვენთან ერთად არ დღესასწაულობთო. ლონდონის ბაზარში ინგლისელებმა ყასაბი-ჰოლანდიელნი კრივში გამოიწვიეს; იქავე თავს დაესხნენ უცხოქვეყნელ ბაყლებს. ამ უცნაურ ბრძოლის დროს ყუმბარებისა და ტყვიების ნაცვლად სტაფილოს, ქარხალსა და კომბოსტოს გაჰქონდა თურმე ზუზუნი.

ინგლისში პატარა ბავშვებიც გაფაციცებით ადევნებენ თვალს სამხრეთ აფრიკის ამბებს. აი რა სურათს გადმოგვცემს რუსულის გაზეთის კორესპონდენტი: ლონდონის ერთს პირველ-დაწყებითს სკოლაში მასწავლებელს მიუმართავს ბავშვებისათვის და უკითხნია:

„ვინ მეტყვის, რისთვის დავიწყეთ ომი სამხრეთ აფრიკაში?“-ო.

— ეს ომი სულ კრუჯერის (კრიუგერის) ბრალია; თავის ხრიკებით აღარ მოგვასვენა ამ ბებერმა! — წამოიძახა პირველმა ბავშვმა. როგორც სჩანს, იმისი მამა „Daily Mail“-ის გულ-მოდგინე მკითხველია.

— სულაც არა! —აუხირდა უფრო ლიბერალი ბავშვი.—ინგლისელებს უნდათ წაართვან ბურებს მიწა-ადგილი, ალმასისა და ოქროს მადნები...

— ინგლისელებს ტრანსვაალში დიდი გადასახადები გააწერეს,—გააწყვეტინა ცხრა წლის პოლიტიკოსმა, —არჩევნების დროს-კი ხმის უფლებას არ აძლევენ; ამიტომ დედოფალმა ბრძანა, ომი მოხდესო, და ჯარიც გაგზავნა.

— მისტერ ჩემბერლენს უნდოდა,—დაიწყო 11 წლის ტომიმ,—რომ ინგლისელნი ხუთის წლის ტრანსვაალში ცხოვრების შემდეგ მოქალაქეებად გამხდარიყვნენ, ბურებმა-კი უთხრეს: არა, შვიდი წელიწადი იცხოვრეთ და მოქალაქეებად მაშინ გაგხდითო.

— ომი აი რად დაიწყო,—განაგრძო მეხუთე ბავშვმა:—ინგლისის მთავრობამ პირობა მისცა ტრანსვაალს და შემდეგ თვითონვე დაარღვია ეს პირობა. მთავრობამ შეუთვალა ბურებს, წერილს მოგწერავო, მაგრამ წერილის მაგივრად ბევრი, ძალიან ბევრი ჯარი გაჰგზავნა მისტერ კრიუგერის შესაშინებლად.

— ომი იმიტომ დავიწყეთ, რომ დაგვესაჯა ბურები, რომელნიც შეურაცხებას აყენებდნენ ჩვენ ქალებსა და ბავშვებს,—დაბეჯითებით განაცხადა მეექვსე ბავშვმა.

„შემდეგ მასწავლებელმა ჰკითხა

ლოვდა ჩვენს პოზიციებს ორის მხრით და ჯერ ზარბაზნებიდგან დაუწყეს სროლა იმ პოზიციებს, სადაც გენერალი სელლერსი იდგა, შემდეგ თოფების სროლას მიჰყვეს ხელი, ამასთან დაიჭირა ორი ბური. როდესაც ინგლისელები მიჰხვდნენ, რომ ამ ადგილას ჩვენის ჯარის გარღვევა შეუძლებელია, მეორედ მოიტანეს იერიში, მაგრამ სხვა მხრიდგან. მე მაღალს ადგილზედ ვიდექი 300 კაცით. გორაკების აღებას ინგლისელებისთვის დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა. რადგანაც ჩვენთვის ეს აშკარა იყო, ამიტომ ცხარე ბრძოლა გაიმართა, რომელმაც დილის 9 საათიდგან მზის ჩასვლამდე გასტანა. ჩვენები გმირებივით იბრძოდნენ; მათ სამჯერ უკუ აგდეს ინგლისელნი; დაღლილ რაზმების ნაცვლად ინგლისელნი განუწყვეტლივ ახალ-ახალ რაზმებს ჰგზავნიდნენ; მაგრამ ჩვენი პოზიცია მაინც ვერ აიღეს. მზის ჩასვლისას ჩვენ ინგლისელებისაგან 50 იარდის მანძილზედ ვიყავით. ინგლისელების ზარალი მეტად დიდია. ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, ჩვენის მხრით რამდენია მოკლული და დაჭრილი.

ლონდონი. „რეიტ. სააგენტო“ იუწყება, რომ აქ არაფერი იციან საზღვარ-გარეთ გავრცელებულ იმ ხმის შესახებ, ვითომ ლორდ სალისბიურს სამშვიდობო პირობანი შეეთვალოს კრიუგერისთვისაო.

„Daily Chron.“-ს ბლუმფონტენიდგან ატყობინებენ, რომ ფრენჩი დღეს დაემუქრა, თუ არ დაგვმორჩილდებით ქალაქს ყუმბარებს დაუშენო. დღეს დილით ამართულ იქმნა დიდი თეთრი დროშა და დეპუტაცია წავიდა რობერტსთან, რომელიც დილის ცხრა საათზედ ქალაქში შევიდა. რობერტსმა აღტაცებულ ბრბოს თანდასწრებით დაათვალიერა საზოგადო შენობანი. შტეინი მომხრე ბურგერებთან ერთად ჩრდილოეთისაკენ გაიქცა. რკინის გზა უვნებელია.

„Times“-ს დეპეშით ატყობინებენ, ბუენოს-აირესიდგან: უკანასკნელ ორის თვის განმავლობაში 23 კაცი გარდაიცვალა შავის ჭირისაგანაო.

ნიუ იორკი „Euening Journal“-ში დაბეჭდილია კრიუგერის დეპეშა, პრეტორიიდგან 29 თებერვალს გამოგზავნილი: „ბრძოლას მხოლოდ ბიურგერების სიკვდილის შემდეგ მოეღება ბოლო. ჩვენი ჯარი წინანდელს ადგილებიდგან ჩვენს მიწა-ადგილზედ დაბრუნდა. ნატალში ბედმა უფრო გაგვიღიმა, ვიდრე ჩვენ იმედი გვქონდა. პრეტორიამდე ინგლისელნი ვერასოდეს ვერ მოაღწევენ. ბურგერები, შტეინი, ჟუბერი, მე და ყველა სხვანი ერთ აზრს ვადგევართ და ჩვენს შორის არავითარი უთანხმოება არა ჰსუფევს. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე!“

ლედი-სმიტი. როგორც სარწმუნოდ იუწყებიან, ბურებმა დაიჭირეს რამდენიმე ძლიერ გამაგრებული პოზიცია იქ, სადაც დრაკონისა და ბიგგარსკარნარვანის მთები ერთდებიან. ამ პოზიციებზედ მძიმე ზარბაზნებსა სდგამენ.

პრეტორია. „Standard and Diggers Neus“-ი იუწყება: „უკანასკნელ დღეებში მთავრობათა წარმომადგენლებს და ამერიკის ელჩს საყურადღებო თათბირი აქვთ. ჟუბერი დღეს დილით ჯართან წავიდა“.

პეკინი. ცეცხლმა გაანადგურა გონკონგ-შანხაის ბანკი.

ნიუ-იორკი. ლონდონში ტრანსვაალის მთავარ ელჩად ნამყოფი გაზეთ „World“-ში დაბეჭდილ წერილში ამტკიცებს, რომ სტრატეგიულის აზრით ბურები იძულებულნი არიან დაანებონ იოჰანესბურგი, რასაც სულ ცოტა 150 მილიონის ზარალი მოჰყვება. ელჩად ნამყოფს იმედი აქვს, რომ ვიდრე აქამდე მავიდოდეს საქმე, ბრძოლა შეწყვეტილი იქმნება. მაგრამ თუ ბურები იძულებულნი შეიქმნებიან იოჰანესბურგი ააფეთქონ, მაშინ პრეტორიას თავს არ გაანებებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდეო.

პრეტორია. მთავრობამ შემდეგი ამბავი გამოაქვეყნა: „ბლუმფონტენი გუშინ ინგლისელებმა დაიჭირეს, როდესაც ბურგერები ჩრდილოეთისაკენ წავიდნენ. ორანჟის რესპუბლიკის მთავრობის რეზიდენცია წინდაწინვე კრონშტადტში იქმნა გადატანილი“.

3 მარტი

პარიჟი. ლუბე დაესწრო ისსში მოხუცთათვის დაარსებულ ქსენონის კურთხევას. პრეზიდენტმა სიტყვა წარმოსთქვა და სხვათა შორის განაცხადა, რომ 25 წელზედ მეტია რესპუბლიკა შრომობს სოციალურ ძმობის განსახორციელებლად. სოციალურ მშვიდობიანობას მივ ღწიეთ, იგი კაცობრიობის საკეთილდღეოთ საბოლოოდ დადგენილ იქმნა გულწრფელ ერთობის წყალობით.

სენატი. შომიმ იკითხა, რას ჰფიქრობს მთავრობა იმ თხოვნის შესახებ, რომლითაც კრიუგერმა და შტეინმა სახელმწიფოებს მიჰმართეს და ჩარევა სთხოვესო. დელკასსემ მიუგო: „პრეტორიაში მყოფმა ჩვენმა ელჩმა დეპეშით შეგვატყობინა, რომ ორსავე რესპუბლიკის პრეზიდენტმა სახელმწიფოებს მიჰმართეს და შუამდგომლობა სთხოვეს ზავის ჩამოსაგდებად, ისე კი, რომ დაცულ იქმნას რესპუბლიკების დამოუკიდებლობა. ინგლისის მთავრობამ შეატყობინა ამ პრეზიდენტებს, რომ დამოუკიდებლობას ვერ დაგიტოვებთო. ამის გამო სახელმწიფოთა შუამდგომლობა არ მოხერხდა, არ მოხერხდა იგი წინადაც, რადგანაც ინგლისის მთავრობამ ომის პირველ დღეებში გამოაცხადა, რომ ასეთ შუამავლობას არ მივიღებო. ამის შემდეგ ინგლისმა გააგის კონფერენციის რეზოლიუციას მოაწერა ხელი, ხოლო საფრანგეთმა შუამდგომლობა გასწია ესპანიასა და ამერიკის შორის; მაგრამ აქ საქმის ვითარება სხვა გვარი იყო. შეიძლება სთქვან, რომ სახელმწიფოებს შეეძლოთ საერთოდ მოელაპარაკათ და რამე ექნათ. იმასაც-კი ამბობენ, რომ მე სხვებს არ შევუერთდი შუამავლობის დასაწყებად ომის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ზღაპარია. ამ საგნის შესახებ საფრანგეთსა და რუსეთს შორის არავითარი უთანხმოება არ ყოფილა და ჩვენ ყოველ დღე უფრო უახლოვდებით ერთმანეთს. ამ გვარი ხმები გავრცელებულია კეთილის არა მდომთა მიერ (მოწონების ხმებია). საფრანგეთი ისევ იცავს თავისს კეთილ მობილურ ტრადიციებს, მაგრამ იმან თავისს საკუთარ ინტერესებზედაც უნდა იფიქროს; იმან საკმაოდ ბევრი მსხვერპლი შესწირა საერთაშორისო თანხმობას და ეხლა უფლება აქვს შურის თვალით არ შეხედოს სხვების [illegible], რომელთაც, მზათ არის, კიდევაც დაეხმაროს და გულწრფელად ტაში დაუკრას მათს გამარჯვებას“. ინციდენტი დასრულდა.

ლონდონი. რობერტსი დეპეშით იუწყება ბლუმფონტენიდგან: „გატეკრი მდ. ორანჟეს გადავიდა და დღეს დილით ბეტულიეში შევიდა. 2000 ჯარის კაცი გვარდიისა და მცირე რაზმი ამხედრებულ ჯარისა დღეს წავიდნენ აქედგან სამის მატარებლით გატეკრისა და კლემენცის ჯართან შესაერთებლად.

ლონდონი. ბლუმფონტენიდგან იუწყებიან 29 თებერვალს, რომ გუშინ ფრენჩმა რკინის გზა დაიჭირა და დაანგრია 6 მილის მანძილზედ ბლუმფონტენის სამხრეთით ლიანდაგიო. შემდეგ ინგლისის ინჟენერმა ააფეთქა ქალაქის ჩრდილოეთით რკინის გზა და გასწყვიტა ტელეგრაფის მავთული. სამშაბათს ბურები გორაკებზედ დაინახეს, მაგრამ მალე განდევნეს ყუმბარებით, ამასთან 8 ბური მოკლულ იქმნა. ამის შემდეგ ქალაქი დაგვმორჩილდა.

ლონდონი. ვიქტორიის მინისტრმა რიტჩიმ გუშინ სიტყვა წარმოსთქვა და განაცხადა, იმედი მაქვს, რომ მშვიდობიანობა მალე იქმნება აღდგენილი, მაგრამ ეს მშვიდობიანობა სხვა პირობებზედ უნდა დამყარდეს და არა იმაზედ, რასაც კრიუგერი თხოულობს. ინგლისი მზად არის ომი შეწყვიტოს, მაგრამ თავისს საკუთარ პირობების თანახმად. ის ამის შემდეგ არაოდეს არ მოიწადინებს დამოუკიდებლობა მიანიჭოს რესპუბლიკებს. ინგლისმა გარდასწყვიტა სამუდამოდ დაუქვემდებაროს ისინი ბრიტანიას.“

ლონდონი. „Times“-ს აცნობებენ ბლუმფონტენიდგან, რომ ორანჟის რესპუბლიკამ გარდასწყვიტა გუშინ, ტრანსვაალის დაჟინების წინააღმდეგ, თავისი სატახტო ქალაქი გადმოეცაო. პრეზიდენტი შტეინი წავიდა ახალს სატახტო ქალაქ კრონშტადში ისე, რომ პასუხიც არ მოუცია წინადადებაზე დამორჩილების შესახებ. რობერტსი და ფრენჩი საუზმეზე მიიპატიჟა შტეინის მამამ თავისს ფერმაში; იმან სთქვა, რომ პრეზიდენტმა შტეინმა სრულებით დაჰკარგა ეხლა მნიშვნელობაო.

ლორენცო-მარკეზიდგან იუწყებიან, რომ ერთმა კაცმა, რომელსაც ომის დროს დამოკიდებულება ჰქონდა მაღნებთან, განაცხადა, რომ ტრანსვაალის მთავრობის სამთამადნო დეპარტამენტის მოხელენი გეგმას ადგენენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დააქციონ დინამიტით მაღაროები და მაღნების სხვა მოწყობილება. გარდა ამისა იოჰანესბურგის მახლობლად ნაღმებია ჩადებილი ქალაქის დასაცველადო.

◆

ბავშვებს: შეიძლებოდა თუ არა როგორმე სხვანაირად საქმის მორიგება ინგლისსა და ტრანსვაალს შორისა“-ო?

— უნდა მარტო მისტერ ჩემბერლენი და მისტერ კრიუგერი გაეყვანათ მოედანზედ და დაეჭიდებინათ: რომელიც გაიმარჯვებდა, ის მართალი იქმნებოდა.

— ჩემის აზრით, ეგ არ გამოდგებოდა, — გააწყვეტინა მეორემ, — მისტერ კრიუგერი ძალიან ბებერია და ჩემბერლენი ადვილად მოერევა.

— უნდა რამდენიმე კაცი აერჩიათ და საქმის გადაწყვეტა იმათთვის მიენდოთ, — სთქვა მესამემ.

— უნდა ჩემბერლენი და კრიუგერი ცალკე ოთახში დაემწყვდიათ: იქ თვითონ მოლაპარაკებდნენ და მორიგდებოდნენ.

ასე მსჯელობენ თურმე ინგლისელი ბავშვები.

* * *

ამ ფელეტონის დასასრულ არ შეგვიძლიან ერთის ინგლისელ მუშის აზრი არ მოვიყვანოთ ინგლის-ტრანსვაალის ომის შესახებ. ამას წინად ლონდონში მუშებს დაუბეჭდიათ წიგნაკი, რომელიც ათასობით იყიდება თურმე ლონდონსა და ინგლისის სხვა ქალაქებში. წიგნაკი შედგენილია ერთის მუშის მიერ. აი, რას ამბობს თურმე ეს მუშა წიგნაკში:

„ინგლისს ტრანსვაალი იმიტომ ეჯავრება, რომ ტრანსვაალი რესპუბლიკაა. გადასახადები იქ უმთავრესად მდიდრებს აწვება კისერზედ და არა ღარიბებს, როგორც ეს ჩვენშია. ის მუშები, რომელნიც დღეში 25—50 ფრანკს იღებენ, წელიწადში მხოლოდ 22 ფრანკს იხდიან. რესპუბლიკის მთავრობის წყალობით ტრანსვაალში სამუშაო ფასი ორჯელ დიდია, ვიდრე კიმბერლეიში, რომელიც ერთიან რობერტსსა და ამხ.-ს ეკუთვნის. კრიუგერმა ამას გარდა სასტიკი კანონები შემოიღო იმათ დასასჯელად, ვინც კვირა დღეს საქმეს გააკეთებინებს მუშებს, ან სამუშაო საათს გადააცილებს. კიმბერლეისა და სხვა ადგილებში-კი კაპიტალისტები სრული მბრძანებელნი და ბატონნი არიან. ამ ომს არავითარი საერო ინტერესი არა აქვს. იგი სასარგებლოა მხოლოდ ერთის მუჭა სპეკულიანტებისათვის, რომელთაც ჩემბერლენი წინამძღოლობს.

„ჩვენ, მუშები უნდა ვეცადნეთ ბოლო მოუღოთ ამ უსამართლო ომს; უკვე საკმაო სისხლი დაიღვარა, ესეც კმარა!“

ი. ა—ძე

განცხადებანი

წერა-კ. საზ. და სს. მაღაზიებში ისყიდება ახალი წიგნი, შედგ. რუსულს ენაზე მ. ჯანაშვილის-მიერ

Царица Тамара

(თამარ მეფე)

შინაარსი: მოკლე განხილვა საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურისა თამარ მეფის ეპოქამდე. ისტორია თამარ მეფისა. დამატება—პალეოგრაფიული ნიმუშები: ნიმუშები ქართულის წერისა მე-VII—XII საუკ. (სულ 20 №-რია): ხელმოწერილობა თამარ მეფისა, მისის მამის გიორგი III. ქმრის დავით მეფისა, შვილის გიორგი ლაშისა, კათალიკოზის თეოდორესი, ჭიაბერისა, შოთ სი (რუსთაველი?), და სხ. წიგნის სათაურს ჩართულია თამარ მეფის სურათხატი. პალეოგრაფიული ნიმუშები დაბეჭდილია სქელს ქაღალდზე, და უამნიმუშებოთ წიგნი შეიცავს 128 გვ. და ღირს 50 კ.

იქვე ისყიდება იმავ ავტორის შედგ. წიგნები: **Грузинскія обители внѣ Грузіи** (ფ. 25 კ.), **Исторія груз. церкви** (ფ. 40 კ.) და ქართული მწერლობა მეათე საუკუნემდე (ფ. 40 კ.).

(6—უ.—1)

გამგეობა

ფოთის სამარხ კასისა

აუწყებს ბ-ნთ წევრებს, რომ კვირას, 5 მარტისთვის, შუადღის 12 საათზედ ფოთის ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია კასის წევრების მორიგი საზოგადო კრება. კრებამ უნდა განიხილოს 1899 წლის ანგარიში და აარჩიოს თანამდებობის კაცნი. (2—ნ.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ 10 მარტს ამა 1900 წლისას იმის თანადასწრებით **მოხდება საჯარო ვაჭრობა,** რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი მე-10 ნაწილში, ზომით 450 ოთხკუთხი საჟენი. საზღვრები ამ მიწისა: ჩრდილოეთით — მუშტაიდის ვიწრო ქუჩა, აღმოსავლეთით—ანდრეევის ქუჩის გაგრძელება, სამხრეთით—ქალაქის მიწა, რომელიც ხერჩიკოვს აქვს იჯარით, და დასავლეთით—ქალაქის მიწა, ხე-ტყის საწყობი.

მსურველთ პირობების გასინჯვა შეუძლიანთ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (3—ნ.—3)

ПРЕЙСЪ-КУРАНТЫ БЕЗПЛАТНО
КВЕЕСА
ИСПЫТАННЫЯ
СѢМЕНА
КАВКАЗСК. СЕЛЬ. ХОЗЯЙСТВО
К. П. КВЕЕСЪ ТИФЛИСЪ

(50—267—9)

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. —3 მან. და 1 მ. 50 კაპ.

ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე“

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან ღამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია:** დიდი ქილა —2 მან; პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ №15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხადზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ პოსტით გაეგზავნებათ. (100—150—81)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Марта 1900 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობის

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე